სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება №91

ქ. თბილისი 4 ივლისი 2018 წ.

„2018 წლის საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების კონფერენციის საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ" სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წლის 22 თებერვლის N24 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის სამსახურებრივი ბარათის (N847328, 02.07.2018წ.) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „2018 წლის საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების კონფერენციის საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ" სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) გენერალური დირექტორის 2018 წლის 22 თებერვლის N24 ბრძანებაში და ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებული დანართი ერთის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ" და „ლ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"კ) კონკურსის შედეგების გამოქვეყნება - 2018 წლის ივლისი;

ლ) გამარჯვებული პროექტ(ებ)ის ხელმძღვანელთან, კოორდინატორთან, წამყვან ორგანიზაციასთან, ძირითად პერსონალთან, თანახელმძღვანელსა და თანამონაწილე ორგანიზაციასთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება - 2018 წლის ივლისი."

2. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ამ ბრძანების გამოქვეყნება ფონდის ვებგვერდზე;

3. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.№6).

მანანა მიქაბერიძე